ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5062851

ნომერი: AR1765144

თარიღი : 31.07.2020

გაცემის თარიღი : 18.08.2020

გაცნობის თარიღი : 20.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მელაძე პ/ნ 01007008494
- თბილისი დავით ბაქრაძის ქ. N 4 ბ. 10

ორგანიზაცია:

- შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ კოდი: 216313727

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.№ 30, შპს "განათლების განვითარების ჯგუფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული № 2/1 შენობა-ნაგებობის სახურავის დაზიანებული საფარის შეცვლას (კეხის, ქანობის და გაბარიტების უცლელად).

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 882019251508 08.04.2019 წ., საკადასტრო კოდი № 01.14.05.008.279; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპრეექტო შენობის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.№ 30, შპს "განათლების განვითარების ჯგუფი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული № 2/1 შენობა-ნაგებობის სახურავის დაზიანებული საფარის შეცვლის (კეხის, ქანობის და გაბარიტების უცლელად) შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ, განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული ნახაზები.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.